

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

29.02.2024წ

სხდომას ესწრებოდნენ: მ.მაისურაძე (კომისიის თავმჯდომარე), გ.ბეზარაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), მ.ციცაგი, გ.ჯიბუტი, დ.ბიბილეიშვილი (კომისიის მდივანი)

დღის წესრიგი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე მარინა ტრაპაიძის შემაჯამებელი ოქმი.

შემოწმდა და შეფასდა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. მარინა ტრაპაიძის წარმოდგენილი ანკეტა და საბუთები შეესაბამება გამოცხადებულ ვაკანსიას, შეფასების პირველ კატეგორიის ყველა პუნქტში დადებითი შეფასება დაიმსახურა, ასევე შესაბამისობაშია მისი პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ტრენინგი და ა.შ. მეორე კატეგორიაშიც მაღალი შეფასება დაიმსახურა. მესამე კატეგორიაში-სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელშიც შედის სტატია და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კონცეფცია, კონკურსანტმა ასევე მაღალი შეფასება დაიმსახურა, მაღალი შეფასება დაიმსახურა კონკურსანტმა მეოთხე კატეგორიაშიც.

მარინა ტრაპაიძის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია და წარმოდგენილი ნაშრომი შეფასდა კომისიის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად

სამეცნიერო კვლევების კონცეფციის შეფასება

- 1.წარმოდგენილი კვლევების კონცეფციის შესაბამისობა საკონკურსო ვაკანსიის პროფილთან- 3;
- 2.სამომავლო კვლევების კონკრეტიკა- 3;
- 3.რამდენად სტრუქტურირებულია და გააძლიერებს კათედრის პოტენციალს- 3;
- 4.კვლევების აქტუალობა -3

წარმოდგენილი ნაშრომის შეფასება

კონკურსანტს ნაშრომის სახით წარმოდგენილი აქვს მონოგრაფია „ინდოლოინდოლებისა და პიროლოინდოლების ქიმია“, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში ვერ გამოვიყენებთ შეფასების დადგენილი კრიტერიუმებს, რადგან ნაშრომი არ წარმოადგენს სტატიას. მას ვერ შევაფასებთ ჟურნალის რეიტინგით და ციტირებით.

ჯამში 12 ქულა.

კომისიის გადაწყვეტილებით, დოკუმენტაციის შემოწმებისა და წარმოდგენილი სამეცნიერო კონცეფციისა და ნაშრომის შეფასების გათვალისწინებით მ.ტრაპაიძე გადაყვანილი იქნა კონკურსის მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების დროს, მარინა ტრაპაიძემ კომისიას მოახსენა მის მიერ გაწეული სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ 1973 წლიდან დღემდე. 1976 წლიდან იყო მოსკოვის ქიმიურ ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტი, 1980 წლიდან მუშაობდა თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტზე უფროს მეცნიერ თანამშრომლად, დოცენტად, ასისტენტ პროფესორად, ასოცირებულ პროფესორად. უძღვებოდა ორგანული ქიმიის სემინარს და ლაბორატორიას; ბაკალავრებთან - ბუნებრივ ნაერთთა ქიმიას; მაგისტრანტებთან - აქტიურ ბუნებრივ ნაერთთა კვლევას; შუქმრგმნობიარე ნაერთთა ქიმიას, ბუნებრივ ნაერთთა რჩეული თავებს.

მ.ტრაპაიძე მონაწილეობს სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში, რომლის ძირითადი მიმართულებაა - ჰეტეროციკლური ნაერთების სინთეზი, კერძოდ ბისინდოლების მიღება და კვლევა. სხვადასხვა ტიპის ნაფთალინის დიჰიდრაზინებიდან მიღებული იქნა ჩაუნაცვლებელი ბისინდოლები.

კვლევებს აწარმოებს ასევე ფოტოქრომული ნაერთების მიღებისა და მიღებული ნაერთების შესწავლის მიმართულებით. მიღებული იქნა ორი სხვადასხვა სახის ფოტოქრომული ნაერთი: სპიროპირანის და დიჰიდროინდოლიზინის ტიპის ფოტოქრომები, რომელთა შესწავლა დღემდე გრძელდება.

შეკითხვები დაუსვეს - მ.მაისურაძემ, მ.ციცაგმა, გ.ჯიბუტმა, გ. ბეზარაშვილმა, რაზეც მ.ტრაპაიძემ ამომწურავი პასუხები გასცა.

გასაუბრების შედეგად პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა შეფასდა დადებითად.

დადგინდა მარინა ტრაპაიძის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მიზნით, ჩატარდეს ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის დაწყებამდე შემოწმდა საარჩევნო ყუთი.

ყუთის შემოწმების შემდეგ შედგა საარჩევნო პროცესი.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, საარჩევნო ყუთის გახსნისას, მასში აღმოჩნდა 5 (ხუთი) ბიულეტენი. ყუთში გაფუჭებული ბიულეტენი არ აღმოჩნდა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-5 ხმა;

წინააღმდეგი-0 ხმა.

დაადგინეს: 1. კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე მარინა ტრაპაიძე ჩაითვალოს გამარჯვებულად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „კატეგორიის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში.

2. შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრები:

1. მ. მაისურაძე (კომისიის თავმჯდომარე)
2. გ. ბეზარაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. მ. ცივაგი
4. გ. ჯიბუტი
5. დ. ბიბილეიშვილი (კომისიის მდივანი)

